

სოციალ-დემოკრატები და მათი შეხედულებები (900-იანი წლები)

ას წელზე მეტია, რაც საქართველო ძილმა წაიღო და დღე საც კიდევ ბურანშია. ყოველგვარ სარბიელზე ბარგმენასვამს ხანდახან, სამ წელიწადში ერთხელ, როცა კენჭის ყრის დრო მოვა, ძალდატანებით გამოაჭყეტინებენ ხოლმე თვალებს და იმასაც მიტომ, რომ კენჭის კეთილად მოხმარება არ შეუძლია. როგორც ახალგამოდვიძებულს მზის სხივები სჭრის თვალებს და ვერასა ჰხედავს, ისე საბრალო ჩვენი ხალხიც ვეღარ უმარ- თავს თვალს დღევანდელი ცხოვრების ჭიატს, ბარბაცობს, აქეთ-იქით ეხლება, არეულობას ახდენს შინაურობაში და ვნე- ბის მეტი ვერა მოაქვს რა და აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც არჩევნობითი უფლება მონიჭებული გვაქვს, მაგრამ ვერა ვხმარობთ თვითონ ჩვენვე, უკუდ-მართად გამოზრდილები. კენჭის ყრის უფლება ჯერ- ჯერობით მხოლოდ სამგვარია: მარ შლების ასარჩევი, ბანკის მმართველობის და სახელმწიფო საბ- ჭოს დეპუტატების, ამ ბოლო ხანში შემოღებული. მარშლების არჩევა კუჭზეა დამყარებული: ქუთაისში ზუთნი სჭრის და ტფილისში კი თართგელაქნური, წყალ-წყალაა და მიტომაც არას ვიტყვი იმაზე, ბანკის ამრჩევლების დროშაზე ასე სწერია: „აქამდე სხვები სჭამდენ და ახლა კიდევ სხვებმა სჭამონო“. არც ამათზე ღირს ხმის ამოღება. დაგვრჩა მხოლოდ მესამე: კენჭო- ბია დეპუტატის ასარჩევით. ამან სამად გაჰყო ქართველობა: სოციალ-დემოკრატებად, ფედერალისტებად და ნაციონალისტებად. ესენი ერთსა და იმავე კურდღელს მისდევნ. მაგრამ ისე კი არევიათ გზა და კვალი, რომ ერთმანეთს ეღობებიან წინ. ეს სამი გუნდი ერთმანეთის წევრს სასიკვდილოდ არა ჰზოგვენ და მით [ამღვრევენ] შინაურ საქმეებს. ახირებულ მონადირესავით აქ, შინ ხელში დასაჭერ ჩიტებს უშვებენ და ჰაერში მომფრინალ ქორს კი მისდევნ დასაჭერად და იმასაც უხერხულად, მხოლოდ „ჰაუ! ჰაუს!“ შეძახებით. ეს წრეები სამივე მომწონს მათის გულწრფელობით, მაგრამ არც ერთს არ ვეთანხმები სახსებით.

ავიღოთ სოციალ-დემოკრატები _ რა არის მათი მიმდევრე ბის მისწრაფება? ისევე, რაც მაცხოვრის: ხალხთა შორის კაცობრიობისადმი „ძმობის, ერთობის და თანასწორობის“ მინიჭება, ესე იგი სასუფევლის მიცემა _ სადაც არც ეროვნება და სისხლხორცობა და არც მტერ-მოყვარობაა _ ყველა თანასწორად იქნება ბედნიერი. მაგრამ მაცხოვარმა რომ ეს ამქვეყნად [შეუძლებლად] დაინახა, სასუფეველი საიქიოს სიკვდილის შემდეგ მიანიჭა ადამიანს და აქ კი თავისი მოძღვრება სასუფევლისთვის მოსამზადებელ იარაღათ დასტოვა. სოციალ-დემოკრატებმა კი [თავიანთი] სურვილით აქვე, ამ ქვეყნადვე მოინდო- მეს საიქიოდან ქვეყნად გადმოტანა სასუფევლის, სადაც არც ეროვნობა არის და არც სხვა რამ ქვეყნიური მოთხოვნილება, გარდა თანასწორობისა და ეს კი შეუძლებელია. ბუნების შემოქმედებითი ძალა ქარხანა და [მაშინა] როდია, რომ ყოლიფერი თანასწორად გამოიყვანოს... ის სხვადასხვაობის მშობელია და ამით აფერადებს ქვეყნიერებას, რომ მას მიანიჭოს მშვენიერება. უამისოთ რა იქნებოდა ქვეყნიერება? ერთგვარი რამ, მალე მოსაწყენი უდაბნო! მოვიტანოთ მაგალითი. დედამიწა ათას კუთხედ განიყოფება: აღმოსავლეთად, დასავლეთად, სამხრეთად და ჩრდილოეთად. თითოეულს მათგანს თავისი საკუთარი ელ-ფერი აქვს და ზეგავლენაც სხვადასხვანაირი. მცენარეობაც სხვადასხვანაირი იზრდება და ცხოველიც. ერთი მეორისას არა ჰგავს. ამათი ერთიმეორედ გარდაქმნა არაფერ ძალას არ შეუძლია. ასე რომ, საქართველოში შობილი ყოველთვის ქართულ ელ-ფერით დარჩება და იმას ვერ გარდაქმნი, ვერ გააესკიმოსებ ძალმომრეობით. გაერთიანება კი თანასწორობით, ძმობით და სიყვარულით მოსახერხებელია. და აი, ამას გვიქადაგებს ქრისტიანობა. ქრისტეს მოძღვრების მიმდევარი შეიძლება არაბიც იყოს, ელინიც, იუდეველიც და სხვებიც. სრულიად

საჭირო არ არის მათი ელფერის შეცვლა და ეროვნებაზე ხელის აღება! ის, ვინც ცდილობს, რომ თავისი სამშობლო გააძლიეროს მხოლოდ გულწრფელის და კეთილის სამსახურით და მერე ისე შეუერთოს მსოფლიოს, ის მთელ ქვეყანასაც ემსახურება _ აი, რატომ მწამს მე სოციალ-დემოკრატობა და ჩვენი ქართველი სოციალ-დემოკრატებიც ეროვნობას რომ არ უარყოფდენ და თავის მოძღვრებასაც, იმ მოძღვრებას, რომელსაც ქრისტე მხოლოდ სიყვარულს უდებს საფუძვლად, ხანდახან მსხვერპლს არ უღებდენ, სრულის მათი თაყვანისმცემელი ვიქნებოდი.

წყარო: <https://bit.ly/2QpatG2>